ბეთიბუთი

და მეგობრები

ჟურნალი + წიგნი
5 ლარი

N40 ივნისი 2014 ბაღის ასაკის ბავშვებისა[illegible]მცროსკლასელთათვის

ISSN 1987-6785
9 771987 678001

ბუტიბუტა

და

მეგობრები

გამარჯობა, ჩემო მეგობარო!
ბევრი ამბავი დამიგროვდა შენთვის მოსაყოლი,
ბევრ თამაშში მინდა ჩაგრთო, SMS-კონკურს-
ში. შუა თამაშიც ძალიან სახალისოა, ახალი
გასაფერადებლებიც! თუთიყუშების სამყაროზე
მოგიყვები და ბევრ ახალ ამბავს გაიგებ. მე და
ჩემი მეგობრები ველარ ვითმენთ, სანამ შემო-
გვიერთდები. კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა
„ბატიბუტას“ ივნისის ნომერში!

ბატიბუტა

ჟურნალი ბაღის ასაკის
ბავშვებისა და
უმცროსკლასელთათვის
გამოდის თვეში ერთხელ

4-7
დამბვრეული
ველოსიპედი

8-9
მაპფერადე
მაპფერადე

14-15
ბოსტნეული
თუ ხილი?



16-17
SMS-კონკურსი

20
ბვინიკოსა



მე ვარ.....

დაწერე შენი სახელი და გვარი

უპოვე ჩრდილები

ცხოველებს თავიანთი ჩრდილები ერთმანეთში აერიათ. დაეხმარე და ყველას უპოვე თავისი ჩრდილი.

მუსიკალური გამოცანა

ამ ფერად-ფერად დოლებზე დაწერილ ასოებს ხომ ხედავ?
უკან კიდევ რამდენიმე მუსიკალურ საკრავს?

დრუნჩას საჩუქარი

1. დრუნჩას რომ დაბადების დღე ჰქონდა, ხომ გახსოვთ? ჰოდა, მისმა დათუნია მეგობრებმა, რომლებიც ქალაქში ცირკში მუშაობდნენ, საჩუქრად ველოსიპედი გამოუგზავნეს. დრუნჩა ისეთი გახარებული იყო, ველოსიპედს გვერდიდან არ იშორებდა, ხანდახან თუ ათხოვებდა მეგობრებს. ერთადერთი, ვისაც ველოსიპედზე არ სვამდა, ფუმფიტო იყო — ეშინოდა, არ დამიმტვრიოსო.

2. ერთ დილით, ყველას რომ ეძინა, ფუმფიტომ გადაწყვიტა, თავადაც ეცადა ველოსიპედის ტარება. ძალიან უნდოდა და რა ექნა? ჩუმად, ფეხის წვერებზე მდგარი გამოიპარა ოთახიდან და საკუჭნაოს მიადგა, სადაც ველოსიპედი იყო შენახული. ისე ჩუმად აკეთებდა ყველაფერს, მძინარე მეგობრებს არაფერი გაუგონიათ.

3. ეზოში რომ დაიგულა თავი, ველოსიპედი მიწაზე დადგა, ფრთხილად შემოაჯდა და დაძრა...

— ჭრრრ, ჭრრრ, — ველოსიპედი მძიმედ, ჭრიალით დაიძრა ადგილიდან.

— რა მაგარია!!! — თქვა ფუმფიტომ და სცადა, სიჩქარე აეკრიფა, მაგრამ ამ დროს კიდევ ერთხელ დაიჭრაჭუნეს ბორბლებმა და ველოსიპედი შუაზე გაიღუნა, ფუმფიტო კი მიწაზე გაიშხლართა.

4. ისეთი ხმა იყო, ყველას გაელვიძა და გარეთ გამოცვივდნენ. ძირს დანარცხებული ფუმფიტოს დანახვაზე მეგობრებს გაეცინათ, ოღონდ, დრუნჩას — არა. დათუნიას თვალებში ცრემლები ჩაუდგა.

— რატომ დამიმტვრიე საჩუქარი? — ესღა უთხრა ფუმფიტოს, რომელსაც მორცხვად დაეხარა თავი, და სახლში შებრუნდა ატირებული.

— რას დამცინით, დამეხმარეთ, რომ ავდგე! — ფუმფიტოსაც აუცრემლდა თვალები და საყვედურით შეხედა მეგობრებს.

5. — არა, რაღაც უნდა მოვიფიქროთ... შევარიგოთ ესენი, — ბატიბუტა და მისი დანარჩენი მეგობრები, დრუნჩასა და ფუმფიტოს გარდა, ეზოში იდგნენ და მსჯელობდნენ.

— ფუმფიტოს ბრალია, უნებართვოდ არ უნდა აეღო, — ჩაილაპარაკა ნუცამ.

— ნებით კიდევ არ ათხოვებდა დრუნჩა და რა ექნა? — შიმპომ სცადა, გაემართლებინა მეგობარი.

— მაგიტომაც არ ათხოვებდა, რომ იცოდა, დაუმტვრევდა, — გაეპასუხა ლომბარდო.

6. — მძიმეა და რა ქნას, მაგის გამო ყველაფერზე უარი თქვას? — დაიცვა მეგობარი პაწაწინა პუსამაც.

— რაღაც უნდა მოვიფიქროთ, — ჩაფიქრდა ბობო.

ამასობაში ფუმფიტო და დრუნჩა სახლში იყვნენ, ერთი ერთ საწოლზე იწვა ზურგშექცეული, მეორე — მეორეზე. არც ერთი ხმას არ იღებდა. დრუნჩა ვერ პატიობდა, ასეთი საჩუქარი რომ გაუფუჭა, ფუმფიტო კი თავს დამნაშავედ გრძნობდა და ხმას ვერ იღებდა. იმაზეც დარდობდა, ეს გასეირნება რომ არ გამოუვიდა.

7. — ცოტა ხანი რომ გავიდა, ორივეს შემოესმა ეზოდან მეგობრების ჟრიამული. ერთმანეთისთვის არ შეუხედავთ, წამოხტნენ და გარეთ გაცვივდნენ. მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა — ეზოში მეგობრები მხიარულობდნენ, რომელთაც წინ რვა ველოსიპედი ედგათ. აქედან ერთი ძალიან პატარა იყო, პუსასთვის, ერთი კი — ძალიან დიდი, ფუმფიტოსთვის.

— ჩამოდით აბა, მოსინჯეთ! — გასძახა გაბუტულებს ბატიბუტამ.

მათ ისე გაუხარდათ ეს სიურპრიზი, ერთმანეთს მაშინვე გადაეხვივნენ, შერიგდნენ და ველოსიპედებისკენ გაეშურნენ.

8. — როგორ იყიდეთ ამდენი ველოსიპედი? — გაკვირვებულმა დრუნჩამ ბატიბუტას შეხედა.

— გახსოვს ჩვენი ყულაბა, სულ რომ ვაგროვებდით ხურდებს? — გაახსენა ბატიბუტამ, — ჰოდა, იქ იმდენი ფული დაგვიგროვებია, ასეთი საჩუქრები გამოგვივიდა ყველასთვის.

— ახლა კი შემოასხედით ველოსიპედებს და გავეშურეთ ყველანი ტყისკენ, სასეირნოდ!

ბაბუაწვერა

ბაკურაული

ნოდარ დუმბაძის

ლექსები

თოჯინა

მთელ დღეს ასე ატარებ
უსაქმურად, ძილშია,
გუშინ წიგნი მოგეცი,
არც კი გადაგიშლია.
დაემსგავსე დათუნას
და არა ჭამ არაფერს,
აბა, პირი გააღე
და კარაქი ჩაყლაპე!
არ მიჯერებ, თოჯინა?
ნახე, თუ არ განანო
და საღამოს, ძილის წინ,
თავი თუ არ დაგბანო!

მამალი

როცა ავად ვიყავი,
ვსვი და ვყლაპე წამალი
და დედიკომ საჩუქრად
მომიყვანა მამალი.
ერთხელ ძია გვესტუმრა,
ბაბუამ თქვა: - რა ვქნათო?
ბებიამ თქვა: - სასწრაფოდ
მამლაყინწა დავკლათო.

ჰოდა, ეს რომ გავიგე,
მამალს ხელი დავავლე
და ბებიას უჩუმრად
კარადაში დავმალე.
მერე იცით, რა მოხდა?
ბებომ შიშით იკივლა...
იმ სულელმა მამალმა
კარადაში იყივლა.

მეკეკა

გამიგონე, ბეკეკა,
გეყო ხტუნვა-თამაში,
ხედავ? დამეტაკე და
ამომსვარე ტალახში.
ერთხელ თუ გაგებუტე,
ვეღარ გადამიბირებ,
მერე მთელი საათი
დაჯექი და იტირე.
თუგინდ ჩემი მურიაც
შენი ცოდვით იწვოდეს,
შენს დედიკოს მონაწველ
რძეს არ დავლევ, იცოდე.

ბუა

ბებომ იმდენი მაშინა,
— მოვა და შეგჭამს ბუაო,
მე მგონი, თვითონ შეშინდა
და წნევამ გააბრუაო.
ნუ გეშინია, ბებიკო,
მაგას ვასწავლი ჭკუასა
და შენი შეშინებისთვის,
მე თვითონ შევჭამ ბუასა.

სიზმარი

შიმპოს გემრიელად ეძინა, ფერადი სიზმარი ნახა. რომ გაიღვიძა, დაიწყო გახსენება, რა დაესიზმრა.

ეს მახსოვრობის თამაშია. თეთრ ღრუბელზე რაც ხატია, ყურადღებით დააკვირდი. მერე მას ფურცელი დაადე ზემოდან და ეცადე გაიხსენო, რა ეხატა. ვნახოთ, რამდენად კარგი მეხსიერება გაქვს და რამდენ რამეს დაიხსომებ.

შიმპო და ფუმფიცო ხოოპარკში

ეს ბრუნვების თამაშია. ყურადღებით შეხედე ამ ტექსტს. ზოგიერთი სიტყვის ნაცვლად ნახატებია. მიუსადაგე მათ ბრუნვის ნიშნები და ტექსტსაც სწორად წაიკითხავ.

ერთ დღეს და გადაწყვიტეს, წასულიყვნენ

და თავიანთი თანამოძმეები ენახათ. ლამაზ ჩასხდნენ და

მივიდნენ. სანამ ცხოველების მივიდოდნენ,

ჯერ იქანავეს, გაერთნენ. მერე კი დათვალიერებას

შეუდგნენ. ყველაზე მეტად მოეწონა.

გალიასთანაც დიდხანს გაჩერდა. თავისნაირ

ელაპარაკა, მერე მოიკითხა, 

უყურა დიდხანს, მერე დაიჭირა და სურათიც გადაუღო.

რომ მოსაღამოვდა, და ერთმანეთს

შესასვლელთან შეხვდნენ და ისევ წავიდნენ სახლში.

ბოსტნეული

ბობო და პუსა სახალისო თამაშს თამაშობენ. თქვენც შეუერთდით. ამ თამაშს ორნი თამაშობენ. ერთი პუსას, მეორე ბობოს სახელით. დაგჭირდებათ ერთი კამათელი და ორი მაკრატელი ან ორი ფლომასტერი. ერთი მხარე ბობოსია, მეორე — პუსასი. თამაშს ის იწყებს, ვინც მეტ ქულას გააგორებს. მერე კი დაიწყეთ:

შუაში წრეს ხომ ხედავთ? მასში ცარიელი რგოლებია. ეს რგოლები ხილითა და ბოსტნეულით უნდა შეავსოთ. თუ ლუწი რიცხვი გაგორდება კამათელზე — 2, 4 ან 6, ვინც პუსას მხარეს თამაშობს, მან რომელიმე



ი თუ ხილი?

ბოსტნეულის რგოლი უნდა ამოჭრას და შუაში ცარიელ რგოლში ჩააწებოს (შეგიძლიათ, არ ამოჭრათ და უბრალოდ სხვადასხვა ფერის ფლომასტრით მონიშნოთ შევსებული ადგილები). თუ კენტი გაგორდება — 1, 3 ან 5, ვინც ბობოს მხარეს თამაშობს, მან თითო ხილი უნდა ამოჭრას და ცარიელ რგოლში ჩააწებოს. სულ რომ შეივსება ცარიელი რგოლები, დათვალეთ ხილისა და ბოსტნეულის რაოდენობა. რომელიც მეტი იქნება წრეზე, ისაა მოგებული.



ბატიბუტას SMS-ეკითხული

ბატიბუტა 9 კითხვას დაგისვამს, რომლებზეც პასუხის გაცემა არ უნდა გაგიჭირდეს. ამ 9 კითხვიდან მხოლოდ ორს აქვს ერთი და იგივე პასუხი. თუ ყველა კითხვას სწორად უპასუხებ, იმ სიტყვასაც გამოიცნობ, რომელიც ორი კითხვის სწორი პასუხია. თუ ამ სიტყვას SMS-ით გაუგზავნი (15 ივნისამდე), ბატიბუტა შენს სახელსა და გვარს ივლისის ნომერში გამოაქვეყნებს და მონაწილეობას მიიღებ ბატიბუტას ფოტოების კონკურსში. ყოველი ორმოცდამეათე გამარჯვებულის ფოტო დაიბეჭდება ჟურნალის მომდევნო ნომერში.

არ დაგავიწყდეს სახელის, გვარისა და საცხოვრებელი ადგილის (ქალაქის ან სოფლის) მითითება.

წინა ნომერში გამოქვეყნებული სმს-ვიქტორინის სწორი პასუხია **გიტარა**. მათ ვინაობას, ვინც წინა კონკურსის სწორი პასუხი გამოგზავნა, ჟურნალის 26-ე გვერდზე გაგაცნობთ.

ბატიბუტას ნომერზე SMS იგზავნება ჩვეულებრივი ტარიფით და ფასიანი არ არის.

1

დაჯავშნილ საბრძოლო მანქანას ჰქვია:

ტრაქტორი; ტანკი; ზარბაზანი; რაკეტა.

2

ბამბუკის მოყვარული ცხოველია:

მელია; ზებრა; პანდა; მგელი.

3

არსებობს ტალღისებური და ხუჭუჭა:

მტრედი; არწივი; ბუ; თუთიყუში.

4

ჩასაბერი მუსიკალური საკრავი არის:
სალამური; არფა;
ვიოლინო; დაფდაფი.

5

დრუნჩას ყველაზე საყვარელი ნუგბარია:
კანფეტი; ნამცხვარი;
თაფლი; შოკოლადი.

6

ყველაზე ცნობილ ანიმაციურ თევზს ჰქვია:
შრეკი; ნემო;
ჟასმინი; ბელი.

7

სპორტის სახეობა არ არის:
კრივი; სამბო;
დამბო; ძიუდო.

9

წვიმის დროს კურდღელს იცავს მისი:
ბეწვი; ყნოსვა;
თათები; ყურები.

8

სახმელეთო ტრანსპორტია:
იახტა; აეროსტატი;
პარაშუტი; ტანკი.

ბატიბუტას ნომერია:

551-85-00-55

ბატიბუტას

batibuta09@mail.ru

ბატიბუტა სხვენში საოცარ წიგნს წააწყდა. საკმარისია, თვალები დახუჭო, ჩაიფიქრო, რაც გაინტერესებს და თვალის გახელის შემდეგ, ზუსტად იმ გვერდზე გადაშლი ჯადოსნურ წიგნს, რომელ გვერდზეც ამ კითხვის პასუხი წერია. თურმე არ არსებობს ისეთი რამ, ამ წიგნში რომ არ ეწეროს. მისწერე ბატიბუტას, რაც გაინტერესებს, გადაშლის საოცარ წიგნს და აუცილებლად გიპასუხებს, ყველაზე ჭკვიანურ კითხვებს კი ჟურნალშიც დაბეჭდავს...

კურდღლები თურმე მთელ დედამიწაზე ბინადრობენ, ნებისმიერ ქვეყანაში. ყურცქვიტებს კი დიდი ყურების გამო ვუწოდებთ. იცით, ეს დიდი ყურები რაში ეხმარება? თურმე ზაფხულში სწორედ ამ ყურებს გამოაქვთ ორგანიზმიდან სითბო და აგრილებენ კურდღლებს, გადახურებისგან იცავენ. წვიმის დროსაც ეხმარებათ — ყურების წვერებს მოკაკვავენ ხოლმე, რომ წყალი არ მოხვდეთ ყურის შიგნით და არ გაცივდნენ. ბევრს ჰგონია, რომ კურდღელი მარტო მცენარეულ საკვებს მიირთმევს — სტაფილოსა და კომბოსტოს. სინამდვილეში, თურმე ხორცზეც არ ამბობენ უარს.

ბიჭებს ძალიან უყვართ სათამაშო ტანკებით თამაში. ტანკი დაჯავშნილი საბრძოლო მანქანაა. სიტყვა ტანკი ინგლისურიდან თარგმანში რეზერვუარს, ცისტერნას ნიშნავს — როცა პირველად გაგზავნეს ომში ტანკები (ეს პირველი მსოფლიო ომის დროს მოხდა), მტერს რომ არ შეეტყო მისი ნამდვილი დანიშნულება, ხმა გაავრცელეს, თითქოს ეს საწვავის ცისტერნების გადამტანი მანქანა იყო. ასე შეერქვა ეს სახელი ამ საბრძოლო ტრანსპორტს.

პანდების საყვარელი ბამბუკი ერთ-ერთი ყველაზე გამძლე და მოქნილი ხეა, ამიტომაც არის, რომ ბევრ ქვეყანაში მისგან სახლებსაც აგებენ. ზოგიერთი ბამბუკის ხე 38 მეტრამდეც კი შეიძლება გაიზარდოს, ერთი კორპუსის სიმაღლის. სწრაფადაც იზრდება — მეცნიერებმა ასეთი რეკორდიც კი დააფიქსირეს: ერთ-ერთი სახეობის ბამბუკი თურმე ორ დღეში ერთი მეტრით გაიზარდა. თანაც, მას თუ არ ამოძირკვავ ფესვიანად, ზრდას არ წყვეტს — გადახერხილი ბამბუკი ისევ იზრდება.

ჯადოსნური წიგნიდან

თურმე პირველი ფაზლი დაახლოებით 1760 წელს გაჩნდა, ოღონდ არა სათამაშოდ — თავდაპირველად ყველა ფაზლი რუქა იყო. ამ რუქას აწებებდნენ ხის დაფაზე, მერე კი ქვეყნების საზღვრების მიხედვით ხერხავდნენ. მოწაფეებს ნახატი ზუსტად უნდა აეწყოთ და ქვეყნების მდებარეობა დაემახსოვრებინათ. თავდაპირველად ამ სასწავლო ინსტრუმენტს თურმე ასევე უწოდებდნენ — „დახერხილი რუქა“.

„ნემო“ დისნეის კომპანიის ერთ-ერთი წარმატებული კომპიუტერული ანიმაციური მულტფილმია, რომელმაც „ოსკარიც“ მიიღო. პატარა თევზის წყალქვეშა მოგზაურობა მართლაც ძალიან საინტერესო და თავშესაქცევია. ნემოს კვალდაკვალ პატარები ოკეანის სამყაროს ეცნობიან და მტაცებელი თუ მეგობრული, კეთილი თუ ბოროტი წყლის არსებების ამბებს გებულობენ. რა თქმა უნდა, გამარჯვებული აქაც კეთილი ქმნილებები არიან.



კრივი სპორტის პოპულარული სახეობაა — ორ სპორტსმენს შორის მუშტით (შიშველი მუშტით ან სპეციალური ხელთათმანებით) ბრძოლა განსაკუთრებული წესების დაცვით. განვითარდა მუშტი-კრივიდან, რომელიც ცნობილი იყო ჯერ კიდევ ეგვიპტესა და ბაბილონში, ანტიკურ საბერძნეთში. კრივის წესები (ოღონდ, უხელთათმანოდ) მეთვრამეტე საუკუნეში ინგლისში შეიმუშავეს; კრივში აკრძალვებიც არსებობს — მაგალითად, არ შეიძლება დარტყმა წელსქვევით, კეფაში, ზურგში. კრივი ორ ნაწილად იყოფა: სამოყვარულო და პროფესიონალური. სხვათა შორის, კრივი ცხოველებსაც გამოსდით — მაგალითად, მაიმუნები, კატები და კენგურუები შესანიშნავი მოკრივეები არიან.

ტვინიკოსა

ყურადღებით დააკვირდი სურათების თანმიმდევრობას. გამოიცანი, რა უნდა ეხატოს ცარიელ გრაფებში? როცა გამოიცნობ, ჩახატე კიდეც.







იპოვე 5 განსხვავება

თანმიმდევრობით ჩაწერე რგოლებში, რა არის სურათებზე გამოსახული და რაც მთავარია, გაითვალისწინე: ყოველი სიტყვის ბოლო ორი ასო, მომდევნო სიტყვის საწყის ორ ასოს ემთხვევა.

ლოკოკინა









ფრინველები

ეს ფერად-ფერადი, მხიარული, მოჭიკჭიკე და მოლაპარაკე არსებები არა მარტო ტყეებსა და სკვერებს ამხიარულებენ, არამედ ჩვენს სახლებშიც შემოაქვთ ჟრიამული. სხვადასხვა ფერისა და ზომის, სხვადასხვაგვარი ენით „მოლაპარაკე“ თუთიყუშები ჩვენი პატარა მეგობრები არიან.

თუთიყუშისნაირნი ფრინველების რიგია. მათუ უმრავლესობის შეფერილობა მკვეთრია, ჭარბობს ღია მწვანე ფერი. აქვთ კაუჭისებრი მასიური ნისკარტი, მოღუნულბრჭყალებიანი ღონიერი ფეხები, მეოთხე თითი უკან აქვთ მიბრუნებული და ძლიერ მოქნილია. ფრთები გრძელი და წვეტიანი აქვთ.

თუთიყუშისნაირების 315 სახეობა არსებობს. ისინი 2 ოჯახად იყოფიან: ლორები, ანუ ფუნჯიანები და ნამდვილი თუთიყუშები. ბუნებრივად ძირითადად ტროპიკულ სარტყელში არიან გავრცელებულნი, ერთეულები ცხოვრობენ ველებსა და ნახევრად უდაბნოებში. ზოგიერთ თუთიყუშისნაირს (ახალზელანდიური კაკაპო, ანუ ბუსებრი თუთიყუში) დაკარგული აქვს ფრენის უნარი.

ჩვენთან ყველაზე მეტად ხუჭუჭა, ანუ ტალღისებრი თუთიყუშები არიან გავრცელებული. ისინი ადვილი მოსათვინიერებელი არიან, იოლად ეგუებიან სახლის პირობებში ცხოვრებას. თუ თავს კარგად გრძნობენ, კვერცხსაც დებენ გალიაში ცხოვრების პირობებში. ზოგიერთი (მამალი თუთიყუში) ლაპარაკსაც კი სწავლობს. ამ სახეობის თუთიყუშს ყელი და თავის წინა ნაწილი ყვითელი აქვს. ორივე ლოყაზე აქვს თითო ლურჯი ლაქა, ლაქების ქვეშ კი რამდენიმე შავი წერტილი. თავის უკანა ნაწილი და ზურგის ზედა ნაწილი ღია მწვანეა, მუქი ხუჭუჭა ზოლებით დაფარული (საიდანაც მომდინარეობს მისი სახელწოდება „ხუჭუჭა“).

ცნობილი სახეობაა თუთიყუში არა — ლურჯი, წითელი, ყვითელი და იშვიათად მწვანე. გავრცელებულია ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში. არა ძირითადად დიდი ზომის თუთიყუშია.

ეკლიკაცია

ლაბირინთი

ამ მშრომელმა გოგონამ ჭურჭლის გარეცხვა გადაწყვიტა, მაგრამ გარეცხილი ჭურჭელი ხომ თაროზე უნდა შემოალაგოს? დაეხმარე თაროამდე სწორი გზის გაგნებაში.



ფოტო-ამბავი

სურათის მიხედვით, უნდა გამოიგონო ერთი პატარა ამბავი და წერილით ან მესიჯად მისწერო ბატიბუტას (15 ივნისამდე)
ელექტრონული ფოსტით:
batibuta09@mail.ru
გამოგონილ ამბებს ბატიბუტა წაიკითხავს და თუ მოეწონება, გამოაქვეყნებს! არ დაგავიწყდეს სახელის, გვარის და ასაკის მითითება.

წაუკითხე მშობლებს და ოჯახის წევრებს გამოგონილი ამბავი!

* * *

იყო ერთი თეთრი ბუ, რომელმაც გადაწყვიტა, სკეიტბორდით გაესეირნა. მაგრამ რადგან შუადღე იყო და კარგად ვერ ხედავდა, იდგა და დაღამებას ელოდა.

სოსო ვართანაშვილი, 6 წლის, თელავი

* * *

პატარა ბუ, რომელიც ფრენას სწავლობდა, ბუდიდან გადმოვარდა. აფრენას ლამობდა და ვერ აფრინდა. მიიხედ-მოიხედა და სკეიტი დაინახა. გახარებული შემოახტა და დაიკვეხნა, აბა, შემომხედეთ, როგორ ლამაზად ვსრიალებო.

მედეა ჭელიძე, 5 წლის, ბაღდათი

* * *

იყო ერთი ბიჭი ნიკა. ზოოპარკში სიარული უყვარდა. ერთხელ ხეზე მჯდომი ბუ დაინახა, დაიჭირა და სახლში წაიყვანა. სკეიტბორდზე დგებოდა, ბუს მხარზე შემოისვამდა და ისე დაატარებდა. ბუ ისე მიეჩვია, მარტოც შეეძლო სკეიტზე დგომა.

მალხაზ თოდაშვილი, გურჯაანი

წინა ნომრის ფოტო

* * *

ერთ დღეს ბავშვები სკეიტბორდით დაგორავდნენ. მათ თვალს ადევნებდა ბუ, რომელიც ხეზე იჯდა. ცოტა ხნის შემდეგ ბავშვებმა შეისვენეს და სკამზე ჩამოსხდნენ. ბუმ დრო იხელთა, სკეიტი მოჰპარა და თვითონ დაიწყო გართობა. ბავშვებს ძალიან გაუკვირდათ და სიცილი დაიწყეს.

მიხეილ გავრილჩენკო, 10 წლის, ბათუმი

* * *

იყო ერთი პატარა ჩიტი. ვერაფრით ისწავლა ფრენა და გადაწყვიტა, სკეიტით ეცადა ბედი, მაგრამ ვერც სკეიტს გაუგო ვერაფერი — ხშირად ვარდებოდა იქიდან. მერე ასეთი რამ მოიფიქრა — ფრთებით დაება სკეიტზე და აღარ ყირავდებოდა.

ხატია ხარბედია, თელავი

* * *

მოვიდა ზამთარი. პატარა ბუ სკეიტზე დაჯდა სრიალის სასწავლად და თან სხვა ბუს უყურებდა, ის როგორ აკეთებდა ამას. რომ უკეთ გამოსვლოდა.

მართლაც ისწავლა და გამოუვიდა.

ნათია ბუზალაძე, 14 წლის

* * *

ბუების ოჯახში ხუთი ბუ ცხოვრობდა: დედა, მამა და სამი შვილი: შიმპო, დამბო და ლომბარდო. შიმპო ძალიან სწრაფად დაფრინავდა. დამბოს კარგად შეეძლო მიწაზე სირბილი, ხოლო ლომბარდოს არც ფრენა შეეძლო და არც სირბილი. მაგრამ მოხერხებული იყო და ჭკვიანი, სულ წიგნებს კითხულობდა. ერთხელ ეს ნაკითხობაც გამოადგა — სკეიტი დაინახა, მიხვდა რაც იყო. შემოდგა ზედ და კარგად ისრიალა.

ქეთი გოგილაშვილი, 12 წლის.

* * *

ერთი ბიჭი ტყეში წავიდა. დაინახა ხეზე მჯდომი ბუ და სახლში წაიყვანა. სკეიტზე სრიალებდა ხოლმე ბიჭი და ბუსაც ართობდა. ბუს ისე მოსწონდა, მარტოც დგებოდა, ბიჭსაც უხაროდა მისი წარმატებები.

გიორგი მებაღიშვილი, გურჯაანი

ქათქათას თავგადასავალი

ეზოში ბავშვები თამაშობდნენ. იქვე ახლოს ერთმა ლამაზმა ჩიტმა გადაიფრინა, რომელსაც ქათქათა ერქვა. ძალიან მოეწონა სკეიტის დაფა და ბავშვებს სთხოვა. მათაც არ უთხრეს უარი, ათხოვეს — კეთილი ბავშვები იყვნენ. ქათქათამ დიდხანს ისეირნა, მერე მადლობა გადაუხადა ბავშვებს და გაფრინდა.

მარიამ კირვალიძე, ვანთა

სპორტსმენი ბუ

ვინ თქვა, ბუ სკეიტზე ვერ დადგებაო? ჩვენს ეზოში ბავშვებმა ერთი ბუ მოვიშინაურეთ. ისე შეგვეჩვია, ჩვენთან ერთად თამაშობს და სკეიტზე გორაობაც კი ისწავლა. მალე ვაპირებთ, ჩემპიონატზეც გავიყვანოთ ჩვენი სპორტსმენი ბუ.

ლევან გუჯეჯიანი, 11 წლის, თბილისი

ცნობისმოყვარე ბუ

იყო ერთი ცნობისმოყვარე ბუ, რომელიც, იყო თუ არა მისი საქმე, ყველაფრით ინტერესდებოდა. ერთ დღეს სკეიტბორდით მოსეირნე ბავშვები დაინახა. მოეწონა და გადაწყვიტა, თვითონაც დამდგარიყო. იმდენად მოპნდომებული აღმოჩნდა, რომ მალე ისწავლა სკეიტზე დგომა და ხშირადაც სეირნობდა.

ბადუ მახარაძე, 5 წლის, ბაღდათი

ბათიბუტას იუბილარები და SMS კონკურსის გამარჯვებულები

მარიამ ცხადაძე

ნოდიკო ხაჩიძე

მარიამ კუსრაშვილი

დავით და მართა გახარიები

მიორგი ბეგლარაშვილი

ნატა კვიკვინია

დათა გორგილაძე

ხატია გორგილაძე

ქეთი კელოშვილი

ეთერა და თორნიკე აბულაშვილები

ნინი პაპინაშვილი, ლექსო უტალიშვილი, ანანო მოისწრაფიშვილი, ლიზი მაისურაძე, თამთა მესხიძე, უჩა ძირკვაძე, მარიამ ხორბალაძე, ქრისტინა დაშნიანი, თათია დავითაძე, თორნიკე ჩხიკვაძე, მარი მაჩიტიძე, დადუნა გეწყაძე, ლიზი მაჩიტიძე, ქეთი გაბაძე, ზაქრო ხვედელიძე, მარიამ ხვედელიძე, ზუკა ხვედელიძე, ლიზი კვატამიძე, ბარბარე ხვიჩა, თაკო ირუმაძე, თაზო ირუმაძე, ნინი ჯაფარიძე, ლიზი ჯაფარიძე, ლიკა გაბაიძე, ქეთი გაბაიძე, ლიზი გოგოლაძე, მარიამ მოდებაძე, ნიკოლოზ კონცელიძე, მარიამ გუგუნიშვილი, მარი დოლიძე, გიორგი დოლიძე, იკუნა დოლიძე, ბარბარე მაკარაშვილი, სალომე მაკარაშვილი, მარიამ ხაბაზი, საბა დიასამიძე, სულხან დიასამიძე, ნიკოლოზ წურწუმია, შურმანიკო კაზარიანი, ლუკა გორგილაძე, ქეთევან გვარიშვილი, ანანო თუთბერიძე, მარიამ კოლლოტაშვილი, ბარბარე ჩუბინიძე, ალეკო ჩუბინიძე, ანასტასია ჯაჭვლიანი, ნიკა გადუაშვილი, მარია წულაძე, მირანდა თოიძე, ქეთი ზმეიშლაძე, საბა შუფლაძე, ნინო ცქვიტინიძე, ქეთი მიმინოშვილი, მარიამ ბარამიძე, ნათია გურაშვილი, ეკო გორაშვილი, ნათია გორაშვილი, ლიზი შეროზია, ნინი შეროზია, ანდრი ლორთქიფანიძე, გიორგი გოგიბერია, ომარ ქათამაძე, სალომე არძენაძე, ბექა არძენაძე, ელენე სალაძე, ხატია ბოლქვაძე, თორნიკე ქათამაძე, გიგა დემეტრაშვილი, ლიკა დემეტრაშვილი, ანა აღნიაშვილი, დავით აღნიაშვილი, გიორგი გველესიანი, მართა კვრცხავა, მიშიკო ქორნაშვილი, მარიამ პაპუაშვილი, ზაურიკო კირკოზაშვილი, ქეთი გოგილაშვილი, თოკო შუბითიძე, ცოტნე შუბითიძე, მათე მახარაშვილი, ლიზი კუზანაშვილი, კოპა ნინაშვილი, ლიკა გაბროშვილი, ანამარია ნინაშვილი, დათო ცხოვრებაძე, მარიამ ცხოვრებაძე, ელენე ჯღენტი, სოფო ცხოვრებაძე, გიორგი ცხოვრებაძე, ნიკა ყორნიაშვილი, გიორგი ყორნიაშვილი, ანა საგინაშვილი, უჩა ცხოვრებაძე, ბორის ლონიაშვილი, გიორგი ლონიაშვილი, მარიამ ხუციკაძე, თემო სალუქვაძე, თედო სალუქვაძე, მიაკო წიკლაური, **გიორგი ცოკიაშვილი,** გვანცა ცოკიაშვილი, ანანო კვლიშვილი, ლადო ვახნაძე, ნინი ვახნაძე, თიკო გოცირიძე, ლუკა სახეიშვილი, მარი სახეიშვილი, მარიამ კაპანაძე, ანი როსტომაშვილი, ანა ქურკაძე, თორნიკე წიქარიშვილი, შოთიკო გურგენიძე, გაგა ლურსმანაშვილი, ნათია ხომიზური, ლაშა შანშიაშვილი, მარიამ არჯევნიშვილი, იონა მაზანანაშვილი, ლიკა ჯღუბეიშვილი, მარიამ წულაძე, ნინო ცქვიტინიძე, გია კონჭოშვილი, ნოდიკო აღვინაშვილი, ვახუნა აღვინაშვილი, ანა წიქარაძე, თიკო გოცირიძე, მარიამ ქოსმენაშვილი, ქეთი ნადირაძე, დათუნა ჯაფოშვილი, თაზო საგინაშვილი, ლიზი თამაზაშვილი, მიზელ ესაკია, მარიამ საგინაშვილი, გიორგი საგინაშვილი, ნოდიკო საგინაშვილი, ზაზა მკურნალიძე, მეგი ზატიაშვილი, თამარ ხარებაა, ანი შიოშვილი, მარიამ კირკელიძე, ლიზი მორგოშია, თაზო გველესიანი, ლაშა გველესიანი, ნატო სხირტლაძე, ლიზი ბენიძე, დათო დათაშვილი, მარი სახოკია, ნატა კვიკვინია, ლიკუნა უფურაშვილი, ნიკა მარიდაშვილი, მარიამ კუმრაშვილი, **ნანა ურუშაძე,** ომარიკო ალიევი, ბარბარე კუსრაშვილი, მარიამ კუსრაშვილი, გიგი ბერძენიშვილი, ნიკო მეკოკეშვილი, ნიკა მეკოკეშვილი, გენადი ტოფაძე, ნიკოლოზ ტოფაძე, ელენე ჩილინდრიშვილი, რუსლან ბბოიანი, ლიზი მეგრელიშვილი, რუსუდან მელამბიანი, ნათია ჯიქურაშვილი, თამარ აბესაძრიძე, მარიამ მალლაკელიძე, ნინო მუქერია, მალხაზ ქობულია, ბაჩო გორდელაძე, მარიამ ოქროჭელიძე, სალომე ქორნაშვილი, ფეტრიდე მინაძე, მარიანა ვაშაყმაძე, აჩიკო ჭიკაძე, ზაურ კანაშვილი, ლიზი მახარაძე, ბადუ მახარაძე, გაგა ლურსმანაშვილი, გიორგი ნანუაშვილი, მიშიკო ზენაიშვილი, საბა გოგიბერიძე, მათე ჭყოიძე, თათია თაურთიქლაძე, მარი თაბაგარი, დათო თაბაგარი, ეთუნა ოსიაშვილი, ელენე ქუთათელაძე, ანა კირკელიძე, ნინო ტატურაშვილი, მარი ლაშქარაია, ელენე ლაშქარაია, მანანა ბაზერაშვილი, გვანცა ცოკიაშვილი, გიორგი ტყვებურაა, ნიკოლოზ ტყვებურაა, გიორგი კვანტალიანი, მარიამ კოზიძე, ნარგიზ კოზიძე, ირაკლი მეფარიშვილი, **აპაკი ნანობაშვილი,** ელენე ცინცაძე, საბა ცინცაძე, გიორგი წიგნაძე, ირაკლი ედენტი, გიორგი ბერძენიშვილი, ოთო ყირიმელაშვილი, ნინი შიომღვდლიშვილი, საბა არაბიძე, ნუცა არაბიძე, მედეა ჭელიძე, მარიამ ბარამიძე, მიშიკო ბაქრაძე, კრისტინა ვარდოსანიძე, მარიამ გრემელაშვილი, ბარბარე ხვიჩა, ეკო ჯაფარიშვილი, ნიკოლოზ სჭინაშვილი, მარიამ აღნიაშვილი, რეზი აღნიაშვილი, ოგორ სარიშვილი, დემეტრე ორაგველიძე, ნინო შალამბერიძე, ნიკოლოზ შალამბერიძე, სალომე მორჩაძე, ნიკა გრძელიშვილი, ხატია ხარბედია, ლუკა სულუხია, გიორგი კეკენაძე, დავით მეგრელიძე, ომარ ქურიძე, ლიკა საფანოკა, თამაზ კიწმარიშვილი, დათუნა კუსრაშვილი, ირაკლი კუსრაშვილი, გიორგი სიფრაშვილი, მზია ვარძიაშვილი, ლუკა ბარბაქაძე, ავთო ბარბაქაძე, თამარ ქეფხიშვილი, სანდრო ქარქუსაშვილი, ლაშა მჭაფანაძე, ანასტასია ცეცხლაძე, ერეკლე ცეცხლაძე, მათე წულუკიძე, ბექა ფერულაშვილი, გიო ფერულაშვილი, მალხაზ თოდაშვილი, რეზი დათუაშვილი, გიორგი მებაღიშვილი, **ნიკოლოზ ხურციდლაძე,** მარიამ ქვრივიშვილი, იოსებ ქვრივიშვილი, ლიკა ლომაძე, ნოდარ ძნელაძე, მარიამ ბექაური, ამიკო კოპალიანი, მარიამ ცაგურია, ანა იოსებაშვილი, მარია პაკელენკო, ნინი ზაალიშვილი, რეზი ზაალიშვილი, თეონა დოლიძე, სალომე დოლიძე, ნიკოლოზ დოლიძე, გიორგი ზამბახიძე, ეკა კვახაძე, მარიამ ბაშარული, ნიკოლოზ ახობაძე, გიორგი ვარდოსანიძე, თემი ვარდოსანიძე, თათია ობგაიძე, ლუკა ლეგაშვილი, მარი სეხნიაშვილი, ნოდარ გოგიბერიძე, ნიკოლოზ კიკნაველიძე, გიო ღვინჯღელია, ტატო ღვინჯღელია, გიორგი ვაბრიელაშვილი, ბექა ვართანაშვილი, ელენე თანიაშვილი, დავით თანიაშვილი, ფრიდონ ცუხიშვილი, ნინო ლუაშვილი, ანი ზუცაშვილი, ნიკოლოზ მერაბიშვილი, დარი მერაბიშვილი, ხატია მორჩილაძე, ნუცა გოგიბერიძე, მარიამ ქურცაკიძე, დარი ჯაფარაშვილი, ქეთი გოდელაშვილი, თამუნა სამხარაძე, მარი სამხარაძე, გიგი მეტრეველი, ლიზი მეტრეველი, ნია ხვიჩა, მაია ბარბაქაძე, ლიკა ბარბაქაძე, ბექა თაკაშვილი, **ქეთი თაკაშვილი,** გიორგი ბასიაშვილი, დიმა კაბაკი, ნინი ბარნაბიშვილი, თორნიკე ლორია, ელენე ციხლაშვილი, ხატია ციხლაშვილი, ვახო წიკლაური, დალი წიკლაური, ვახო დათუნაშვილი, გიორგი დათუნაშვილი, ნიკოლოზ ხარაძე, საბა ღვაჩლიანი, მარი მეჭედლიშვილი, ნატა ბუსკოვაძე, რეზი კეშელავა, თაკო კეშელავა, დადუ სარეხვო, ბექა შეთინიშვილი, ნინი შეთინიშვილი, ქეთი ხესიაშვილი, თაზო ოსიაშვილი, უჩა ბეგლარაშვილი, მინდია გოგაძე, გეგა გოლაძე, დადუ ფუტკარაძე, მარიამ სალთხუციაშვილი, ნატა დოლიძე, რეზი ქორთიაშვილი, ანამარია აბრამიძე, გვანცა გარუჩავა, გიგა შოილაშვილი, გეგა მოლაშვილი, მარიანა მოლაშვილი, ლუკა ცინცაძე, ნიკა ცინცაძე, ლევან თედეიშვილი, თამარ თედეიშვილი, ლუკა ართქელიძე, გიგი ბერიძე, გუგა ბერიძე, ლიზიკო თურმანიძე, თამარ ქიშმარია, ქეთი ქიშმარია, ელენე პაპიანი, გიორგი გორაშვილი, ლექსო ხორბალაძე, საბა ხორბალაძე, გიორგი ჭრელაშვილი, ნია კალმახელიძე, **ანუკი ფაქარაშვილი,** ალია გვენეტაძე, ანდრია გვენეტაძე, სოლომონ თაბუაშვილი, ნიკოლოზ თაბუაშვილი, დავით აგნაიშვილი, ანი აგნაიშვილი, ნინო ქათამაძე, ნინო ლაპიაშვილი, ნიკოლოზ ლაპიაშვილი, ანანო ბერიკაშვილი, გიორგი ანანიძე, ბექა ხუნაშვილი, მარიამ ხუნაშვილი, მარიამ მუკუტაძე, ჟღილდა მამულაძე, თორნიკე ნადირაშვილი, ნიკოლოზ ნადირაშვილი, ეკატერინე ტუკვაძე, ნათია ტუკვაძე, დათა გორგილაძე, ხატია გორგილაძე, საბა ჩითინაშვილი, ელენე ლატარაია, თამარ ცხადაძე, მარი ცხადაძე, იური სოზიაშვილი, ლალი სოზიაშვილი, საბა დათუაშვილი, ამალიკო კეშელავა, ნიკოლოზ თათარაშვილი, ნიკუშა ნოზაძე, ანამარია ნოზაძე, ალექსანდრე წვერავა, გიორგი დუნდუა, ლუკა ქარაულა, სანდრო ავალიშვილი, თორნიკე ჩიხლაძე, თაკო გაფუაშვილი, ლალი სოზიაშვილი, გიგა დეტრაშვილი, ლიკა დემეტრაშვილი, ლიკა ჟღენტი, ლიკა ბალიაშვილი, ანრი შარაძე, მარიამ დუმბანაშვილი, ნინო ნაცკლიშვილი, გვანცა ჩითინაშვილი, სანდრო დარჩიელია, ქრისტინა ახალაძე, **ქეთი ახალაძე,** ლინდი თათიაშვილი, ლუკა თათიაშვილი, ანასტასია აფხაზიშვილი, ნინი აფხაზიშვილი, ლადი შალაშვილი, მარიამ ლაბაძე, ნიკოლოზ შელიქიძე, მეგი გოგმაჩაძე, ლანა ყოფოჩაშვილი, მარიამ მარუაშვილი, გიორგი ბაიდაური, მარიამ ბაიდაური, ანა ჯალიაშვილი, საბა ჯალიაშვილი, ქეთი თხილაშვილი, გიორგი სონღულაშვილი, ნინო გოგუაძე, ნინი პაპანაშვილი, ელენე ვასაძე, ლიზი ვასაძე, გიორგი ვოსკანიანი, მარიამ მოლაძე, ნიკა ხუციშვილი, მათე ნადირაძე, ნინი ბარეკაძე, ზუკა ბუდინაშვილი, ნიკა ბალიაშვილი, ლიზი სიხარულიძე, ელენე ბეციაშვილი, თედო ირუმაძე, ქეთი სისეფლაშვილი, ნიკოლოზ კონცელიძე, ანა მინაშვილი, ნოდიკო მამალაძე, ანანო მოისწრაფიშვილი, ლიკა ჩეკურიშვილი, ანდრი ლორთქიფანიძე, ნინო მუთიძე, ნატო ჯერმიზიშვილი, ნანუკა იაშალაშვილი, აკაკი იაშალაშვილი, მარიამ გელაშვილი, ქეთევან ჯანგულაშვილი, ნიკა ჯანგულაშვილი, ლუკა ჯანგულაშვილი, მარიამ ხაბაზი, მარიამ ძირკვაძე, ლიზი მაისურაძე, ლუკა ტყვაძე, **ანო ასაშვილი,** ლუკა იოსებაშვილი, სალომე პაჟლაშვილი, ნია ბადგაძე, ლიზი გრძელიძე, ნინო შალამბერიძე, ნიკოლოზ შალამბერიძე, გიორგი მარგალიტაშვილი, ბადრი მარგალიტაშვილი, ეკატერინე ლიპარტელიანი, მარიამ კირკოზაშვილი, თაკო კირკოზაშვილი, ნიკოლოზ ლორთქიფანიძე, ნინო ქადაგიშვილი, ნინი გოგოლაძე, სესე სარეხვო, ნინი სულაბერიძე, ელენე სალაძე, გიგი ჟურაშვილი, შოთიკო ხაბიშვილი, ელენე ბეციაშვილი, ნინიკო ჩეკურიშვილი, ლიზი რიონიძე, მარი მაჩიტიძე, მურთაზ ბრეგაძე, ანი ხაჩიძე, ნათიკო ბუზალაძე, მარიამ ხვედელიძე, ზუკა ხვედელიძე, ლიზი კვატაშიძე, თამარ ქადაგიშვილი.

რედკოლეგია:

რედაქტორი: ლელა ზურებიანი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: დათო მოსიაშვილი
მხატვარი: დავით მჭედლიშვილი
სტილისტი: თამუნა ბერაძე

www.batibuta.ge
მის: დიღომი 7
218-42-32;
0790-37-06-88
ელ.ფოსტა:
batibuta09@mail.ru

მე-4, ბოლო ტომის შეგროვება დაიწყო!

Discovery EDUCATION

შეაგროვე ამბები და შექმენი „დისქავერის ენციკლოპედიის“ ოთხტომეული საკუთარი ხელით!



ყოველი ეს წიგნი ახალი სამყაროა!

შეიძინე „დისქავერის ენციკლოპედია“ ქართულ ან ინგლისურ ენაზე

თუ გამოგრჩათ რომელიმე წიგნი წინა ტომებიდან, მათი შეძენა წიგნის მაღაზიებში შეგიძლიათ

დაუვიწყარი დაბადების დღე

დაუვიწყარ სტუმრებთან ერთად!

ოჯახში, ბაღში თუ სკოლაში

მიიწვიეთ ლაბალების ლორბე ან
ცხვა ლოლიკანწყოლბე თჯერი
შვილების ცვუკეთილო მეგობრები ლა
შემოინახეთ ჰაყანრებს ბავშვობის
ცვუკეთილო წუთები

ბაღიბუცა

ცაღიყვი
ფუმფუცი

ღიმი
ღიმბაღი

გასართობი პროგრამა ყველა ასაკისათვის

საჩუქარი იუბილარს

დღესასწაულის ფოტო და ვიდეო გადაღება მონტაჟით

იუბილარის ფოტო ჟურნალის უახლოეს ნომერში

თაგუნია
ბუსა

ძაღლი
ბიბი

ღაბუნია
ღრუნა

მაიმუნი
ფიმჯი

საუკეთესო გართობა და უამრავი
სიურპრიზი 95 ლარიდან!!!

2-18-42-32; 595-77-30-50

www.batibuta.ge

ელ.ფოსტა: batibuta@qartuli.ge